

ჩადუნელების გვარის მოკლე ისტორია

იმერეთში უცხოვრია ძველად ჩადუნელების გვარს. ქართულ სიგელ-გუჯარში ჩადუნელები XV საუკუნიდან ჩანან. ქართლ-იმერეთის მეფის ბაგრატ VI-ს (1439–78 წწ) ფხაკაძისათვის მამულის წყალობის სიგელში საზღვრების განსაზღვრის თვალსაზრისით რამდენჯერმეა ნახსენები ჩადუნელთა გვარი, „... გამოღმა-ჩადუნელის მიდგამდის“, „... ზეით ჩადუნელის მიდგამდის“ და ა.შ.

ადრევე გადასულან ჩადუნელები საცხოვრებლად ლიხის მთის მიდამოებში, ერთი შტო კი ბორჯომის ხეობაში დამკვიდრებულა.

XVI საუკუნის ერთ უსტარში ნახსენებია ბორჯომელი მეციხოვნე აბრამ ჩადუნელი. რაც მიგვანიშნებს ჩადუნელების აქტიურ მონაწილეობაზე, სხერტის ჭალაში და ტაშისკართან 1609 წლის 27 ივნისს, გიორგი სააკაძისა და ზაზა ციციშვილის სარდლობით ქართველთა 10 000-იანი ლაშქრის მიერ ოსმალთა და ყირიმელ თათართა 60 000-იანი ურდოს დამარცხებაში.

საგვარეულო გადმოცემით, სოფელ გეთსამანიაში (ხარაგაულის რაიონი) ცხოვრობდნენ ჩადუნელთა წინაპარნი. იქაა ჩადუნელთა საგვარეულო სალოცავები ტბეთის წმინდა გიორგის სახელობისა და ვარდობის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიები. დღესაც იყრიან თავს გეთსამანიაში ჩადუნელთა გვარის შვილნი ვარდობას (პეტრე-პავლობის მარხვის პირველ ორშაბათს, ივნისში) და ტბეთობას (ოქტომბრის ბოლო ორშაბათს).

ჩადუნელების გვარნაყარია ხარაიშვილები და სადუნიშვილები.

კავკასიაში რუსეთის იმპერატორის „ნამესტნიკის“ კანცელარიის მიერ 1913–14 წლებში გამოცემულ „კავკასიის კალენდარში“ აღნიშნულია, რომ „ჭიათურმანგანუმი“-ს გამომთვლელი ინჟინერი დოროთი გიორგის-ძე ჩადუნელი მონაწილეობდა რუსეთის იმპერიის საინჟინრო ყრილობაში.

საქართველოს ძლიერებისათვის გადახდილ ომებში ჩადუნელები კომლზე კაცი გამოდიოდნენ იმერეთის სამეფო ლაშქარში, თავადთა – აზაშიძეთა და წერეთელთა დროშების ქვეშ და ქართლის სამეფო ლაშქარში, თავად ციციშვილთა დროშის ქვეშ.

ჩადუნელთა გვარის საამაყო შვილია ცნობილი მწერალი, იურისტი, კასპის რაიონის სოფელ იგოეთში დაბადებული და გაზრდილი იორამ გაბრიელის-ძე ჩადუნელი.

2012 წლის 12 აგვისტო ჩადუნელთა გვარის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი თარიღია. მთელი ერისათვის ისედაც სასიქადულო დღეს, „**დიდგორობას**“, საქართველოს სულიერმა მამამ, პატრიარქმა ჩვენმა, **ილია II-მ** დალოცა და აკურთხა იგი! დიდება და მადლობა ღმერთს ყოველივესთვის!

1997 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებით 3670-ს სჭარბობს ჩადუნელების გვარის შვილთა რაოდენობა, რომელთაგან უმეტესი ცხოვრობს თბილისში, ბორჯომისა და ხაშურის რაიონებში. აგრეთვე ხობის, კასპის, გარდაბნის (სოფ. სართიჭალა) და ლაგოდეხის რაიონებში.

უნდა ვაღიაროთ, რომ ჩადუნელების გვარის ისტორია ჯერ კიდევ არაა ჯეროვან დონეზე შესწავლილი. იმედია ჩადუნელთა გვარის წიგნიერი წარმომადგენლები, განსაკუთრებით ისტორიკოსები, ფილოლოგები და ჟურნალისტები მცდელობას არ დააკლებენ ამ ნაკლის გამოსწორებას.

ფუძესოფლისა და ფუძესალოცავების შესახებ

გაზეთი „კვალი“ 1893 წელი, #38. გვ. 6-7.

შენიშვნა: აღნიშნული საგაზეთო წერილის ავტორი ფსევდონიმით „ქრისტეფორე-ზემოიმერელი“ გახლავთ მღვდელი ქრისტეფორე მურმანის ძე ციციშვილი, შემდგომში საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ქრისტეფორე III (1927-1932).

ტბეთის ეკლესია

(შორაპნის მაზრაში)

სტილი დაცულია

მდინარის ძირულის პირზედ, სურამის მთის მაღლობათ მდებარეობს ხუნევის სასოფლო საზოგადოება, რომელიც შედგება ექვსი სოფლისაგან. ამ საზოგადოებაში არის ერთი, ცოტათ თუ ბევრათ, შესანიშნავი ეკლესია, როგორც არხეოლოგიის მხრივ, ისე ლეგენდის მხრივაც. ამ ეკლესიას ჰქვია სახელათ ტბეთის წმიდის გიორგის ეკლესია და აგებულია ყრუ მთაში. არ ვიცი, ეს სახელი იმ სახელოვანის ტბეთის ეკლესიის პატივისცემით დაურქმევიათ, რომელიც არსებობს შავშეთსა, თუ ერუშეთში, თუ ახლო მდებარის ერთი პატარა ტბისა გამო, რომელიც ჭაობი უფროა, ვინემ ტბა.

ხალხის ზეპირგადმოცემა მოგვითრობს, რომ ტბეთის ეკლესია ააშენა **თამარ-დედოფალმაო**. აი, როგორ აუშენებია თამარს ეს ეკლესია. თამარს, ხალხის თქმით, ჩვეულება ჰქონდა მოგზაურობა თავის სამეფოს დასათვალიერებლათ. სადაც კი გაჩერდებოდა ერთი დღე მაინც, უეჭველათ ეკლესია უნდა აეგო: ხუროთმოძღვრები თან დაჰყავდა; ჯარი, რომელიც თან დაჰყავდა, მუშადაც იყო და ხელს უწყობდა აშენებელთ ქვის, კირის და სხვა მასალის ზიდვით, თან ახლდა აგრეთვე ეპისკოპოზები, რომელნიც ეკლესიის დამთავრებისთანავე აკურთხებდენ; ასე რომ ეკლესია ერთ დრეს შენდებოდა. მეორე დღეს ამ ეკლესიაში თამარი წირვას მოისმენდა და გაუდგებოდა გზას.

ერთხელ თამარს გამოუვლია ჩვენსკენ და მოუნდომებია ეკლესიის აშენება ერთ მაღალ სერზედ მთაში. მოუტანინებია ქვა და სხვა საჭირო მასალა; დაუწყიათ შენება, მაგრამ ცოტას რომ ააშენებდენ, კედლები ინგრეოდენ, კიდეც დაიწყებდენ შენებას, კიდეც დაინგრეოდა. არ იქნა და არა, ვერ ააშენეს ეკლესია. მერე ერთმა მხლებელთაგანმა სიზმარი ნახა, რომ შეებათ კუროები ურეშში, დაედვათ ამ ურმებზედ სასამირკვლე ქვები. ეს კუროები იმდენ ხანს უნდა ეტარებინათ, სანამ არ დაეცემოდენ დედამიწაზედ და არ მოჰკვდებოდენ. ამ ადგილზედ უნდა აეშენებიათ ეკლესია. - მართლაც ასე მოიქცენ: შეაბეს კუროები, რომელიც დაიხოცენ იმ ადგილზედ, სადაც ახლა ტბეთის ეკლესიაა. ამ ნაირათ ეკლესია ერთ ადგილზედ ვერ ააშენეს; ახლა იქ დაიწყეს შენება, სადაც კუროები დაიხოცენ. გაამწკრივეს კაცები ამ ადგილიდან მახლობელ მდინარემდე (ორი ვერსის მანძილზედ). მდინარის პირზედ მდგომი იღებდა ქვას,

ამღევდა მეორეს, მეორე-მესამეს, ეს კიდევ შემდეგს... და ამ რიგათ ქვა გროვდებოდა მდინარიდან ორი ვერსის სიშორეზედ. იმ ადგილას კი, სადაც უწინ უნდა აეშენებიათ ეკლესია, დღესაც ნაკლები ქვაა. აქ არის შეგროვილი მართლაც ქვა. ეს ადგილი წმინდაა ხალხის თვალში ასე, რომ ოციოდე ხე იყო აქ ამოსული, გარშემო მინდორია და ხალხი ამ ბოლოს დრომდის ვერ ბედავდა იმათ მოჭრას. ასე მოგვითრობს ხალხი ამ ეკლესიის აშენებაზედ.

იქნება ამ ლეგენდარულ მოთხრობაში ზოგი მართალიც იყო, მე არ ვიცი; ეს კი მართალია: ეკლესია ძველია, რასაც მოწმობს ძველებური ხმლები, სხვა-და-სხვა ნაირი ისრები, მშვილდები, რომელნიც ინახება ამ ეკლესიაში.

ტბეთის წმ. გიორგის ეკლესია ხალხის თვალში ძლიერი ეკლესიაა. როდესაც მართალი კაცი საქმეს წააგებს ხოლმე ახლანდელ „სუდებში“, წავა და თავის მოპირდაპირეს მსაჯულებიანა გადასცემს ხოლმე ტბეთის წმ. გიორგის ხატზედ. მართალი კაცი დარწმუნებულია, რომ წმ. გიორგი მიექმაცება მას. ხშირად მას იმედი არ გაუცრუვდება ხოლმე; იმისს უსამართლოდ დამჩაგვრელის ხიფათს ის მიაწერს წმ. გიორგის მასზედ წყრომას; წვა და თავს დაალოცვინებს თავისს მოპირდაპირეს...

ხალხში თქმა იყო, ტბეთის წმ. გიორგი კარებს არ იყენებსო: რამდენჯერმე ააგეს და არ დაიყენა კარიო, მაგრამ ამ ბოლოს დროს კი იყენებს. ხალხი ამბობს კიდევ, რომ ტბეთის ეკლესიასთან გაშვებული ქათამი უვნებლათ ცხოვრობს უპატრონოთაო, მაგრამ წყეულმა მელამ ეჭვი დაგვიბადა ამ აზრის სიმართლეზედ. რაც ქათამი გაუშვეს ამ ეკლესიის სიახლოვეს, სულ ერთიანად შეჭამა.

ტბეთის ეკლესია მდებარეობს სოფელზედ მოშორებით ორ ვერსზედ და, როგორც ზევითაც ვთქვით, ყრუ მთაშია. ამ ეკლესიის გარშემო იმისთანა მაღალი ხეებია, კაცს ეგონება, ცას ებჯინებიანო. იქნება ბუნების სიდიადეს ჰქონდეს გავლენა იმაზედ, რომ ხალხს მოკრძალებული შეხედულობა აქვს ამ ეკლესიაზედ: კაცს, ნამეტნავათ გაუნათლებელს, რაღაც შიში აიტანს ხოლმე, როდესაც ამ მიყრუებულ მთაში გაივლის; უზარმაზარი ტყე სიჩუმით არის მოცული, ხან-და-ხან ფრინველი თუ გადაიჭახჭახებს. კაცს ეშინია თუ ნადირისა, თუ მავნე სულისა. აი, ამ ნაირ გრძნობის ზედგავლენით კაცის იმედი წმ. გიორგის ეკლესიაა, რომელიც თითქოს განგებ აუგია ამ მივარდნილ ადგილს ბრწყინვალე დედოფალს თამარს.

ამ ეკლესიის სახელობაზე ერთი დღეობაც იციან, რომელსაც ჰქვია „ტბეთობა“. იმ ეკლესიაზედ ამ დღეს დიდძალი ხალხი იკრიბება შესაწირათ, ღამის სათევათ. ზოგი ჩოქვით უვლის გარს ამ ეკლესიას, ზოგი ფეხ-შიშველი, ზოგი სანთელს წირავს, ზოგი ფულს, ცხვარს, ქათამს, ღვიძლს და სხ.. ნაწირვებს ეს ამოდენა ხალხი დაჯდება ეკლესიის გარეშემო ტყეში; შეიქნება ღვინის სმა და მხიარულება... დაიწყებენ „ქართულს“ (ქართული სიმღერა ჰქვია სუფრულს, რომელიც იციან ქართლში) და რომელიც ამ მთაში რაღაც უცნაურ შთაბეჭდილებას ახდენს კაცზედ...

ქრისტეფორე-ზემოიმერელი

გეთსამანია მონასტერი (ქც 4: 379, 22). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 379,22), *XVIII ს-ის ისტორიული*

საბუთები (დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 321; 1953: 279; ისტ. დოკ. 1958: 73), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 44), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი 1964: 303).

ვახუშტი ბაგრატიონი გეთსამანიის შესახებ გადმოგვცემს: „ვერტყვილის ხევს ზეით ერთვის ძირულას ბჟინევის-ხევი. აქა არს, სამხრით, **მონასტერი გეთსამანია, გუმბათიანი, კეთილშენი, საწინამძღურო**“ (ქც 4: 379,20-23). მდებარეობს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, ძირულას ხეობაში, ხეფინის ხევში, მდ. უხედურას მარჯვენა ნაპირას. (ბერაძე 1976-1977: 34). წყაროებში პირველად იხსენიება XVIII ს-ის პირველ ნახევარში. ითვლებოდა მეფის სახასო და გივი ამილახორის სასარდლო სოფლად, რომელიც შემდეგ აბაშიძისთვის უბოძებიათ, მაგრამ მალე უკანვე დაუბრუნებიათ ამილახორისთვის (დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 321). XVIII ს-ის მეორე ნახევარში სოფ. გეთსამანია ეკლესიითურთ მირიან ბატონიშვილს ეკუთვნოდა (ბაგრატიონი 1986: 44). **გეთსამანიის საყდარი წარმოადგენდა ხეფინისხევის საეკლესიო ცენტრს (ბერაძე 1976-1977: 34, 35).** გეთსამანია წყაროებში ზოგჯერ „გეთსამანიის“ სახელით იხსენიება (ბაგრატიონი 1986: 44). გეთსამანია არქეოლოგიურად შეუსწავლელია. აგურითა და ტუფის ქვათლილებით ნაგები საყდარი დარბაზულია. ეკლესია XIX ს-ში გადაუკეთებიათ. ძველი ეკლესია უფრო დიდი ყოფილა. მისი საძირკველი ახალი ეკლესიის გეგმაში ვერ ეტევა და გარეთ გამოდის. ნაგებობას შემოუყვება ქვის გალავანი (ბერაძე 1976- 1977: 35).

საარქივო მასალებზე დაყრდნობით მოამზადა დავით ჩადუნელი 19.03.2017.